№ 214 11 ქრისტეშობისთვე, კვირა 1866—1877 11 ქრისტეშობისთვე, კვირა № 214

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43.

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

ტელეგრამმები

ლონდონი, 6 (18) დეკემბერს. გუშინ და დღეს იყო კრება ინგლისის ყველა მინისტრებისა.

გაზეთი „Morning Post“ ამბობს, რომ ახლა დრო არისო, რომ ინგლისმა უფრო დაახლოებული მონაწილეობა მიიღოს ამ რუს-ოსმალოს ბრძოლაშიო, რადგან ეს ბრძოლა ინგლისის ინტერესებს შეეხებაო.

ამბობენ, რომ ინგლისის მმართებლობა სამას ათასს წყვილს წაღებს აკერვინებს თავის ჯარისათვისო.

ლონდონი, 8 დეკემბერს. „რეიტერის სააგენტოს“ სწერენ სტამბოლიდამ, რომ უფროსობა იმ ოსმალოს ფლოტისა, რომელიც ყირიმის ნაპირებს უყარაულებს, ჩააბარეს მენსორპსაო.

პამარლიდამ მოვიდა ამბავი, რომ აქეთკენ ყველა მთები და გადასავალი გზები მოფენილია თოვლითა და ყინვითაო და ამის გამო გადასვლა შეუძლებელიაო.

ბელგრადი, 8 დეკემბერს. გაცხარებული ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა აიღეს ქალაქი პროვოპლე და კურტუმლე.

ვენა, 8 დეკემბერს. ზარიდამ იწერებიან, რომ ოსმალოს ჯარები გამოვიდნენ პოდგორიცის ციხიდამ, დაეცნენ ჩერნოგორიელებს, დაამარცხეს და ჩერნოგორიის საზღვრამდინ მირეკეს ისინიო; ოსმალოებს, უეჭველია, სკუტარისა და ანტივასის განთავისუფლება ჰსურთ. ჩერნოგორიელებს უჭირავთ მთები, რომელნიც ანტივარს დასჩერებიან.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ალექსანდრაპოლი, 6 დეკემბერს. ბევრჯერ ვეცადე, რომ გავმგზავრებულვიყავი ყარსისა და არზრუმისაკენ იმ სურვილით, რომ თვალი გადამევლო მათთვის, სანდო პირებს დავკითხოდი და რაიმე საინტერესო გამეგო; მაგრამ არ იქმნა: თითქოდე საგანგებოთ გამომეტყვრნენ აქ სხვა-და-სხვა საქმეები, რომლებმაც შემიკრეს ხელ-ფეხი და იძულებული მყვეს, რომ კმაყოფილი ვიყო მარტო მით, რაიცა ისმის აქ ბაზარში და სასტუმროებში შესახებ ხსენებულის ქალაქებისა.

მსურდა გამეგო—თუ როგორი სახე აქვს ახლა ყარსს შემდეგ ორ გზობის ჩვენის მხრით ყუმბარაობისა (თიბათვეში და ღვინობისთვეში, ოც-ოცი დღე) და თუ რა მდგომარეობაში არიან არზრუმთან ჩვენი რუსის ჯარები, რას აპირობენ და სხვა და სხვა...

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ვერ მოვახერხე და ვკჯერდები მარტო მოტანილ ამბებითა, რომელთა შორის აი რას ამბობენ: ყარსში, და არათუ მარტო ყარსში, არამედ ალაჯასთან, ავლიართან, ვიზინქიოვთან და სხვა ძველ თათრების პოზიციებზე, ნაომარ-ნასოფლარ ადგილებზე, ნანგრევ სახლების ქვეშ დღევანდლამდინ რუსები ჰპოულობენ მიწაში დამარხულს ზარბაზნებსა, მათთვის კლიტეებსა, თოფ-იარაღებსა, თოფის პატრონებით სავსე ყუთებსა და სხვა-და-სხვა! ეს გავიგე იმ პირებისგან, რომლებსაც თვითონ უნახავს ეს დამარხული ნივთები.

ყარსის აღების შემდეგ, ჩვენებს ენახათ თითქმის ყოველ კარავში მშვენიერი აგურით აშენებული ბუხრები, რომლებიც ოსტატურად იყვნენ გაყვანილნი მიწის ქვეშ; ხოლო სახლებში ოჯახის მაგივრათ—რკინის ფეჩები.

უნახავთ კიდევ ყარსში ერთ-ორ ადგილს გამზადებული ლაღმები, რომელიც ვერ მოუხმარიათ, როგორც ამბობენ, მის გამო, რომ ჩვენები, ბედ-იღბლობით თუ როგორღაც მომხდარა, არ ვიცი, არ მისულან იმ ასაფეთქებელ ადგილებზე; სხვანი კი ამბობენ, რომ პატრუქები სველი გამომდგარანო; მაგრამ ერთი თოფის-წამლის სარდაფის აფეთქება კი მოუსწრებიათ.

ამ ჟამად ყარსის ციხის არტილლერიის შესამსობათ ამ ალექსანდრაპოლის ციხიდგან დღეს გაგზავნეს ოცამდინ წვრილ-წვრილი იერიშით მისვლით შემაყენებელნი ზარბაზნები, რომელთა შორის ურევია რამდენიმე მიტრალიოზი...

გ. ზ—ძე

არზრუმიდამ და ბათუმიდამ არაფერი ამბავი არ მოგვდის. ყველა უცხო ქვეყნის კორრესპონდენტები ერთ-ხმად იწე-

რებიან, რომ Არზრუმისაკენ ისეთი თოფელი და სიცივეები არისო, რომ ამ რამდენიმე კვირის განმავალობაში რუსის ჯარები იქ ვერას გააწყობენო; ისინი Დევე-ბოინის ახლო-მახლო სოფლებში არიან ამ სიცივისაგან შეფარებულნი და ჯერ-ჯეროობით რაიმე სამხედრო მოქმედების დაწყებას ვერ იფიქრებენო.

ბათუმისკენაც სვენს წინ-სვლას, უეჭველია, ესვე სიცივე და ღრმა თოვლი დაამბოლებს.

—

ლონდონის გაზეთის „Times“-ის სტამბოლელს კორრესპონდენტს მოჰყავს შემდეგი სიტყვები, რომელიც ერთს ოსმალოს ნამინისტრალს უთქვამს იმისათვის:

„მართალია, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ ახლა; მართალია, მტერმა აიღო ჩვენი მცირე Აზიის მფლობელობის ბურჯი—Უარსი და აიღო აგრეთვე პლევნო, რომელშიაც საუკეთესო სარდალი და არმია გვყავდა, შეიძლება მალე Არზრუმიც აიღონ,—მაგრამ ყველა ეს მაინც-და-მაინც არ გვაშინებს; ჩვენ კიდევ არ დაგვკარგვია იმედი.

„მხოლოთ ამ ზამთრის განმავალობაში უნდა გავუძლოთ მტერს. მე დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხულზე საქმე სხვა ნაირად დატრიალდება: მანამ, თუ რუსეთმა მძიმე პირობები მოგვთხოვა, შეიძლება Ინგლისი და სხვა სახელმწიფოები გაერიოს ჩვენს ბრძოლაში და თუ ეს არ მოხდა, ჩვენც მოვემზადებით.

„რასაკვირველია, რომ ბოლოს-დაბოლოს რუსეთი დაგვამარცხებს; მაგრამ Ევროპა მიიღებს მხედველობაში ჩვენს მხნეობას, ჩვენს თავ-განწირულ ბრძოლას და უფრო მსუბუქი პირობებით მოგვარიგებს ჩვენს მტერთან.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ს შემდეგი დეპეშა მოსელია გასული ნოემბრის 27-ს Არზრუმიდამ:

„ძიულუს მთის გადასავალი, რომელზედაც მუშის გზა გადის, ამ ჟამად ოსმალოების ხელშია. Ამის გამო მუხთარ-ფაშას შეუძლია Არზრუმის მისაშველებელად Დიარბეკირიდამ გაგზავნოს ახლად მოგროვილი და სტამბოლიდამ მოსული ჯარები.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

პლევნოს აღება

აი დაწერილებული ამბავი პლევნოს აღების თაობაზე, რომელიც ერთს რუსულ გაზეთს მოსელია ბოლგარიიდამ:

ოსმან-ფაშის არმია უფრო ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, ვიდრემ ჩვენ გვეგონა. Ერთის თვის წინათ შემოაკლდა ამ არმიას ყოველგვარი სურსათი და სალდათებს მესამედსა და მეოთხედ კერძს ურიგებდნენ თურმე. ხორცს კი მარტო ნიზამის ჯარს ურიგებდნენ.

Უარსის აღებას ძალიან დაუცია ეს არმია ზნეობით. მაგრამ ოსმან-ფაშას მაინც იმედი არ ეკარგებოდა: ორხანიედამ, მეჰმედ-ალი-ფაშისაგან მოელოდა ის შველას. მაგრამ, რადგან აქედამ ძალიან ცუდი ამბები მოდიოდა, ამის გამო იძულებული შეიქნა თავის თავის დახსნაზე თვითონვე ეფიქრნა; ერთი-ღა საშუალება დარჩა—გარღვევა რუს-რუმინების არმიისა.

ოსმან-ფაშამ მოამზადა თავის ჯარები, მოახდინა ყოველი განკარგულება და 27 ნოემბერს უნდა ეცადნა მტრის არმიის გარღვევა და პლევნოდამ გამოსელა.

Ამ ღამეს მდ. ვიდზე ჩუმათ გააკეთეს სამი ხიდი; სომაგრეებიდამ აგრეთვე საიდუმლოთ გამოიყვანეს ყველა ჯარები; ყველა ეს ჯარები მოაგროვა ერთად ოსმან-ფაშამ. ბათენებისას გადავიდნენ მდ. ვიდზე იმ განზრახვით, რომ [illegible] ბულგარეთთან გამაგრებულ რუსის [illegible] მეტრალ [illegible] დნენ, გაეპოთ და გასულიყვნენ.

მაგრამ რუსებს სამის დღით წინ ჰქონდათ შპიონებისაგან შეტყობილი ოსმან-ფაშის განზრახვა და, რასაკვირველია, იმწამსვე ყოველი ზომები მიიღეს, რომ არ გაეშვათ ხელიდამ მტერი.

ბრენადერის დივიზია დაუხვდა წინ ოსმალოებს. ოთხი საათის განმავალობაში იყო საშინელი სროლა და ჩეხა. ოსმან-ფაშის არმია შუაგულ ცეცხლში შედიოდა, ბატარეებზე მიდიოდა; რამდენიმე ლოჟმენტიდამ გარეკეს რუსის ჯარები და როცა ის-იყო, რუსებს უკან უნდა დაეწიათ და მტრისთვის გზა დაეთმოთ, ამ დროს ახალი ჯარები მოუვიდათ და ხმალ-და-ხმალ ბრძოლის უკან დასწიეს ისინი მდ. ვიდამდინ.

მეორეჯერ თვითონ ოსმან-ფაშამ ამოიღო ხრმალი და წინ გაუძღვა თავის ჯარს. მაგრამ ყოველივე ამაო იყო: ამ დროს ღენ. სკობელევის დივიზიამ დაიჭირა ახლად მტრისაგან მიტოვებული პლევნა და ოსმან-ფაშის არმიას ყოველის მხრიდამ მოაწვნენ რუსისა და რუმინიის ჯარები.

მძიმედ ფეხში დაჭრილი ოსმან-ფაშა იძულებული შეიქნა დაგემორჩილებოდა. როცა ის ხელით მოიყვანეს დიდ მთავართან (თვითონ სიარული აღარ შეეძლო დაჭრილობისაგან), ყველამ ერთ-ხმად დაიძახა: „ბრავო ოსმან-ფაშა!“ ხელმწიფე იმპერატორმაც დიდ ხანს ეხუსაიფა იმას და მხნეობისათვის დაუბრუნა იმას ხრმალი. იმ ღამეს ოსმან-ფაშა პლევნოში მოასვენეს.

—

ფელეტონი

გვინდა ბათუმი, თუ არა?

„Ავი არ მაკადრიანო და კარგი არ მაღირსიანო“,—უთქვამს ობოლს გასათხოვარს ქალსა.

წრეანდელ წელს, ამ ომიანობისა გამო, რა ვიცი—ვინ არ აიღო ხელში კალამი ამ ჩვენი Ახალციხის საათაბაგოს შესახებ? ჩვენი მწერლები კეთილმსურველობის ხალისითა ერთი ძეორეს არ აცლიდნენ წერვასა „Ивериисა“ და „Droeبის“ ფურცლებზედა.

Ველას სურვილი ერთ-პირად იმაში მდგომარეობს რომ ძველის მტრისგან მიგლეჯ-მოგლეჯილი საქართველოს ნაწილის კალთები როგორმე ისევ საქართველოს მოჰკერდეს და შეუერთდეს უწინდებულად!

ეაი დაგემართა, თუ სისრულეში მოვიდოდეს! Აგერ სხვათა შორის Არტაანისა და Უარსის შემდგომ ძლევნოც აიღო რუსის მხედრობამ და იქნება ბევრ ამ ნაირს გამარჯვების სურვილსაც ეწევნენ დაუბრკოლებლად.

მაგრამ კი ამ შემთხვევაში ახლა-ხელად ევრეთი საკეთილდღეო მოვლინების მოგვერა ძნელი მოსალოდნელი საქმე არის! Ამიტომ რომ აღმოსავლეთის საბჭო საქმის საგანი უფრო საზოგადოდ ქრისტიანების და მეტადრე სლავიანების მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ წარმოდგარია და არა საქართველოს წაწილების შეძენაზედ.

მართალია, ბევრჯერ გამოთქვა სხვადა-სხვა ჩვენს გაზეთებში უფრო ერთი ბათუმის მიგდება თავისი სამზღვრებით ჩვენს საქართველოზედ. მაგრამ კიდეც რომ მოგვემატოს ბათუმი და Არტაანი, განა იმითი გაგვიმრთელდება რამე წყლულილი? სრულიადაც არა! Აი რისთვის:

როცა 1625—30 წ. ოსმალებმა Ახალციხე დაიპყრეს, ეს საათაბაგო თავის სამზღვრად შეიცავდა 1,600 ოთხკუთხედ ოსმალულ მილსა სიერცეზედ, და სიგანეს ამის ნახევარსა; მაშინ ეს საქართველოს საუკეთესო ქვეყანა გაანაწილეს 24 მაზრად: ა) Აწყვერი, ბ) Თრიალეთი, გ) ჯავახეთი, დ) ხერთვისი, ე) Აბასთუმანი, ვ) Ფოცხოვი, ზ) Არტაანი, Თ) ჩილდირი, თ) ქოლა, ი) Არტანუჯი, ია) Ფანაგი, იბ) ნარიმანი, იგ) Ოლთისი, იდ) Ართვინი, იე) სინგოთი, ივ) Თაოსკარი, იზ) ძისკომი, იᲗ) Პარხალი, ით) შავშეთი, კ) Ფერდაგრაკი, კა) მა-

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი გვაცნობებს, რომ მთავარი კვარტირა რუსის არმიისა ტირნოვოში უნდა გადაიტანონ...

—

გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 30 ნოემბერს სტამბოლიდამ მიღებული:

„მინისტრებისა და სამხედრო საქმის მცოდნე პირების ჰაზრი ის არის, რომ ოსმალეთი 200,000 კაცს მოაგროვებს და ამ ჯარით მომავალ გაზაფხულზე კიდევ განაგრძობს რუსეთთან ბრძოლასაო.“

—

მომეტებული ნაწილი სტამბოლის გაზეთებისა, რომლებშიაც დაბეჭდილია პლევნოს აღების ამბავი, ამბობენ, რომ, თუმცა ჩვენ ეს საუკეთესო არმია დავკარგეთო, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში არ ჩავვარდნილვართ ჯერო, რომ რუსეთთან ბრძოლის გაგრძელება არ შეგვეძლოსო; უკანასკნელი ღონე და საშუალება უნდა მოკრიბოს ოსმალეთის ხალხმა და ეცადოსო, რომ მტერს თავის ქვეყანა არ გააქელვინოსო.

საქართველო

დღიური

*** გასულ ორშაბათის სხდომაზედ ქალაქის რჩევამ, გამგეობის წინადადებით, გადაწყვიტა, რომ მოისპოს ის „მანეთის გადასახადი“, რომელსაც ქალაქის მუშებსა და მოსამსახურეებს ახდევინებდნენ და რომლის თაობაზედაც ამ ორი წლის წინათ ამდენს იწერებოდნენ ქალაქის გაზეთებში.

ამავე სხდომაზე რჩევამ მოისმინა უ. ხმოვანის ყლიმირზოვის მოხსენება შესახებ იმისა, რომ თავის გამგეობა ქალაქს ერთობ ძვირად უჯდებაო და შტატი უნდა შემოკლდესო. რჩევამ ეს წინადადება გამგეობას გადასცა განსახილველად და თავის ჰაზრის გამოსაცხადებლად.

*** ადვილად შესაძლებელი ია, რომ მარხილებისაგან (სანებისაგან), რომელნიც, ამ თოვლის წყალობით, დადიან ახლა ჩვენს ქუჩებში, რაიმე უბედურება მოხდეს, რადგან ამ მარხილების სიარულის ხმა არ ისმის. გუშინ, სხვათა შორის, პუკიის ხიდთან ერთი ყმაწვილი გაუტანია მარხილს და კინაღამ მოუკლავს.

ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ პოლიციამ ერთი რამე განკარგულება მოახდინოს ამის შესახებ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ღენ. ტერლუკასოვისაგან გადმოსახლებულ ოსმალოს სომხების სასარგებლოდ კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქების სომხებს, საშუალო რიცხვით, 70,000 მანეთამდინ მოუგროვებიათ ტანისამოსსა და სხვა სახლის ავეჯეულობას გარდა.

*** თუ როგორი სიძვირეა ამ ჟამად ჩვენს ქალაქში შეშისა, სხვათა შორის, გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ქალაქის სასაფლაოების ყარაულები სჩივიან, რომ მიცვალებულების საფლავებზე დადგმულ მატურებსა და ჯვრებს იპარვენო და შეშის მაგიერ სწვენო.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელი ერთი კვირის განმავალობაში თითქმის მთელს იმერეთში ისეთი ქარი ყოფილა, რომ ზოგან ხეები ამოუგლეჯია დედა-მიწიდამ და თვითონ ქუთაისში თითქმის ერთს სახლს ვერ ნახავთო, რომ ან სახურავი არ აეძროს და ან სხვა რამ ზარალი არ მიეცესო.

„ხალხი გარეთ ვერ გამოსულაო, გვწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი, და შინ სიცივით კანკალობენ, რადგან ამ ქარის შიშით, ცეცხლიც ვერ დაუნთიათ.

„ქუთაისის მახლობლად, რიონის პირად, ვიღაც ერთი კაცი მოუხრჩვია ამ ქარს. წაუქცევია, ზედ მიუყრია ქვიშა, მტვერი, სუნთქვა შეუგუბებია და მომკვდარა.

„ორპირიდამ მოსულები ამბობენ, რომ რაც იქ რიონის ნაპირზე სკაპცებს სახლები ჰქონდათო, ზოგი მიუმტვრევმოუმტვრევია ქარს და ზოგისთვისაც იმდენი ქვიშა და მიწა მიუყრია, რომ აღარ სჩანანო, მიწიდამ ამოსათხრელი შეიქნებიან ეს სახლებიო.“

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად იწვის უდიდესი და საუკეთესო დასავლეთ იმერეთისა—აჯამეთი. თვითონ აჯამეთის სტანციასთან დამწვარა ორასი ოთხკუთხი საჟენი რკინის გზისა.

*** კავკასიის გზაზე, წალკანის სტანციაში ერთს ვიღაც დოქტორს ამ დღეებში თავი მოუკლავს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

თუმცა მაკ-მაჰონი გარდაწყვეტით აცხადებდა, რომ მარცხენა მხარესთან (რესპუბლიკელებთან) მე არ მსურსო საქმის დაჭერა და ამ პარტიის დახმარებას სახელმწიფო საქმეების გამგეობაში არასოდეს არ მოვითხოვო, მაგრამ ბოლოს მაინც, სხვა გზა რო აღარ ჰქონია, კიდევ ამ პარტიისათვის მოუმართავს:

ახალი სამინისტრო ზომიერ რესპუბლიკელებს შეუდგენია და ამ სამინისტროს წევრებად არიან დანიშნულნი რესპუბლიკელი დეპუტატები: დიუფორი— იუსტიციის მინისტრად და სამინისტროს

ქიხელი, კბ) იმერხევი, კგ) ზედა და ქვედა აჭარა და კდ) თორთომი თუ სპერი თავისი მიდამო ბასიანითა.

ერთის სიტყვით, ჰასანყალამდინ და ტრაპიზონის საზღვრამდინ ახალციხის სამფლობელო იყო, ისიც მაშინ, როცა მტრისაგან შემოსაზღრული იყო საათაბაგო, თვარემ თავითგან მე-13 საუკუნოებამდინ, უფრო ვრცელი იყო. წარმოიდგინეთ, სომხის ბაგრატიონების ძრიელ მეფობის დროსაც შორაკალს, ანსა, ალაშკერტსა და ყარსსაც აწყვერის მიტრაპოლიტს მაწყვერელის ქვემდებარე ეპისკოპოზები ისხდნენ და ჰმწყსიდნენ იქ გავრცელებულს ძველადგან ქართველთ ტომსა! თუ რომ ქრისტეს წინად და ქრისტეს შემდგომ დაუკვირდეთ ამათთან ერთად საათაბაგოს თუ სამესხეთოს საზღვრებსა, მრთელ კაბადუკიასა და ანატოლიის საუკეთესო ნაწილებს შეიცავდა თავისაში!

და ეს მხარე ბათუმისა და არტაანის მოჰატებითა ჰგონია დადგება ფეხედო! ეს იმას ჰგავს, რომ უთქვამთ: „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო!“ მხოლოდ შეიძლება ვსთქვათ: ახალციხის ქალაქს პატარ-პატარა ვაჭრობით სიცხოვლის ნიშანი მიეცეს დროებითად, სანამ ბათუმი სრულ ქალაქად იქცეს და რა ბათუმი გაშენდება თავის ნაქები ლიმონის საფერ-საკადრისად, ახალციხე ისევ დაეცემა, რადგან ყველანი ბათუმისკენ მიიზიდვიან და იქ იწყობენ აღებმიმცემლობის გავრცელებასა!

ბათუმის განდიდება იმ სარგებლობას ვერ მოგვიტანს ჩვენ, როგორსაც ვფიქრობთ; ის უფრო სასარგებლო იქნება რუსეთის და ევროპიელების მდიდარი კამპანიებისათვის; როგორც შავს ზღვის გაღმა ოდესსა, ისე გამოღმა ბათუმი. ამათ რომ სომხის და ურიების ვაჭრებიც მოუმატოთ, მაშინ სრულ სხვა საქმე იქნება. აწინდელ თფილისის და ქუთაისის მდგომარეობას ბევრით გადააჭარბებს ჩვენი ბათუმის მდგომარეობა და მაშინ რაღა სასარგებლო იქმნება ჩვენი ქვეყნისათვის? ვიდრემდისინ ზემოხსენებული 24 მაზრა არ მიეცემა თავის საზღვრად ახალციხესა, ვერ დადგება ვერას-გზით დაცემული საათაბაგო ფეხზედ და ვერცარა მოსალოდნელ სარგებლობას მოუტანს საქართველოსა...

ვინმე მესხი

ახალციხე, 5 დეკემბერს

თავსმჯდომარედ, მარსერი-შინაგანი საქმეების მინისტრად, ვადინგტონი—უცხო ქვეყნის საქმეების, პარტუ-სახალხო განათლებისა, ღენ. ბორელ — სამხედრო, პოტუო—ზღვის, ლეონ სე—ფინანსების, ტისსერან—ვაჭრობის და ფრეისინე—საზოგადო მუშაობისა; შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დანიშნული არის რესპუბლიკელი ლეპერი.

ოსმალეთი

ამ ქრისტიშობისთვის 1-ს გახსნილა სტამბოლში ოსმალეთის პარლამენტი, რომელშიაც კრების სეკრეტარს წაუკითხავს ხონთქრის „ტახტის სიტყვა“. ამ სიტყვაში, როგორც იწერებიან, სხვათა შორის გამოცხადებულია, რომ ახალი კონსტიტუციის ძალით ოსმალეთის ყველა თემისა და რჯულის ქვეშევრდომთ ერთ გვარი უფლება და მოვალეობა აქვთო და ყველანი ერთად უნდა ეცადნონ ახლაო, რომ მძვინვარე მტრისაგან საზოგადო მამული დაიცვანო.

— პარიჟის გაზეთს „მეცხრამეტე საუკუნეში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 1 დეკემბერს სტამბოლიდამ მიღებული:

„ინგლისის ელჩი ლეიარდი, ლორდ დერბის მინდობილობით, ურჩევს ხონთქარს, რომ მითხად-ფაშას სტამბოლში დაბრუნების უფლება მისცეს.

ნარევი

ერთი ქვრივი ქალი მოკვდა ამას წინათ პარიჟში და, სხვათა შორის, პარიჟის ქალაქის გამგეობას უანდერძა ოთხი ათასი მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულის ხარგებელი მიეცეს იმ ქალს, რომელიც უფრო მომეტებულ ხიყვარულსა და პატივის-ცემას გამოიჩენს თავის მშობლებისასაო.

*
* *

ნიჟნი-ნოვგოროდის ერთს ეკკლესიაში ერთს მღვდელს უთქვამს ქადაგება ახლანდელს ომიანობაზე; სხვათა შორის, აუწერია გაჭირვებული მდგომარეობა რუსის დაჭრილ და ავათმყოფ მეომრებისა და ბოლოს ისეთს ალტაცებაში მოსულა, რომ გაუხდია ანაფორა, აუღია და დაუდვია იმ ყუთზე, რომელშიაც „წითელი ჯვრის საზოგადოება“ აგროვებს მეომრებისათვის ფულებსა.

ამ გარემოებას მრევლი ისე აუღელვებია, რომ ვისაც რა ჰქონია ჯიბეში, ამოუღიათ და იმათაც ხსენებულს ყუთში ჩაუყრიათ....

*
* *

ამ დღეებში ქ. ორენბურღიდამ გაქცეულა ქოკანის ადრინდელი ხანი ხუდოარ-ხანი, რომელიც სამი წლის წინათ დანებდა რუსის მმართებლობას და ამ ქალაქში ცხოვრებდა პოლიციის მხედველობის ქვეშ. ეშმაკურად კი მოქცეულა ამ გაქცევის დროს: რომელიც უფრო მარჯვე და მსწრაფლი ცხენი ჰყავდა, იმაზე შემჯდარა, შინ დაუბარებია, რომ სანადიროთ მივდივარო და წასულა და წასულა,—დღესაც მიდის თურმე და კაცმა არ იცის—სად არის....

ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

	ფაეტონის		დროჟკის	
ერთი გზა	40	კაპ.	25	კაპ.
საათი	80	„	55	„
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80	„	50	„
— მუშტაიდამდინ —	60	„	45	„
— მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება 1 მან.	20	„	90	„
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	—	„	1მან.50	„
—დამოქნამდინ— 1 „	50	„	1 „ —	„
—ქალაქ. ყველგან 1 „	—	„	— „ 70	„
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80	„	— „ 50	„
— ნავთლუღიდამ 1 „	50	„	1 „ —	„
რკინის გზამდინ და უკან — — —1 „	30	„	— „ 90	„

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ოთ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზაედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ჰანდელაკის სადგომში.

(3—3)

მიეცემა

სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ქართული სახალხო სიმღერები

შეგროვილი და გამოცემული

ზაქ. ჭიჭინაძისაგან.

წიგნი პირველი.

ფასი ყველგან ერთი შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 6 ქრისტეშ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 255 სანტიმი.	—	62
ესკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	96	50
მოგებიანი(პირველის. ს.	234	25
მოგებიან. (მეორე სესხი)	228	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სახზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½%)	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკური . .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	-

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 9 ქრისტეშ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	20
ფქვილი წითელი . .	1	60
ქერი ფუთი . . .	1	50
ბამბა ერევნისა, ფუთი .	9	—
— ამერიკისა, ფუთი . .	12	—
გაპენტილი ბამბა ფუთი.	14	—
მატყლი თუშური ფთ.	7	—
—თარაქამისა ფთ. .	5	50
აბრეშუმი ნუხური ფუთ	145	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	15	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა .	—	72
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
—ფხვნილი ფუთი . .	8	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	5

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Декабря 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.